გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 80 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 80

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან.

პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზ. „**ივერია**“ ჰღირს 8 **მან.** ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის—4 **მან.**

## ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

**„საქართველოს კალენდარი“**

ვა ლ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

პარასკევს, 3 აპრილს,

გაიმართება სამი კავკასიური

## ჭიდაობა

პირველად იჭიდავებს ცნობილი მოჭიდავე **ქიზიყელი** ცნობილ მოჭიდავე **კოტე მაისურაძესთან.** წამქცევს ჯილდოდ მიეცემა 25 მანეთი. მეორე: იჭიდავებს ცნობილი მოჭიდავე **ვ. მეღილაური** ცნობილ მოჭიდავე **ცერაძესთან.** წამქცევს ჯილდოდ მიეცემა ვერცხლის საათი. მესამე: იჭიდავებს ცნობილი ვარშაველი მოჭიდავე **ხორვატი** ცნობილ მოჭიდავე **დალაქიშვილთან.** წამქცევს ჯილდოდ—ვერცხლის საათი.

ჭიდაობა შესდგება მეორე განყოფილების ბოლოს. მესამე განყოფილების დასასრულ გაიმართება ბალეტი-პანტომიმა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დაწვრილებით პროგრამებშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—97—1).

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

## „ნადეჟდა“-ს

ვფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ. საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—1)

## კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

**ბოთლი—20, 25 და 30 კაპ. და მეტად**

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

**ქ. ქუთაისში** გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები. (10—6.—6).

## როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

## საზაფხულო ბაღში,

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—4)

## ქართული თეატრი

კვირას, 4 აპრილს 1904 წ.,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

ქ-ნ ნ. ჩხეიძისა, ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და კოტე მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

ისტ. დრამა. 5 მოქ. 7 სურათად, დავით ერისთავისა.

**მონაწილეობას იღებენ** ქ-ნი: ნ. ჩხეიძე, ნებიერიძისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვლ. ალექსხი-მესიშვილი, კოტე მესხი, ივანიძე, იმედაშვილი, საფაროვი, სარჯველაძე, ბაქრაძე, იორდანაშვილი, მატარაძე, გვარაძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

ა. ნ. **დიასამიძე.** 11—12 საათ.

ა. ტ. **მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. **მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. **ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. **მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. **გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. **ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. **მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

ა. გ. **მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

უ. მ. **ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. **ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. **ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. **გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. **თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. **სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ნ. ნ. **როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

გ. ს.ე **ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. **თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. **არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.


## ომის ამბები

ბერლინელ პროფესორის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.—,,ტაიმსის'' კორესპონდენტის ცნობები.—წვრილი ამბავი.

ბერლინელი სამხედრო ისტორიის პროფესორი განს დელბრიუკი შემდეგის აზრისაა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ:

სამხედრო გეგმა რომ წინადვე შემუშავებული ჰქონოდა იაპონიას, ჯარი შეკრებილი, თოფ-იარაღი და სურსათი დამზადებული და გემებზედ დაწყობილი, მაინც ექვსის კვირის განმავლობაში იაპონიის ჯარი მდინარე იალუმდე მისვლას მოუნდებოდა და მეტს ვერაფერს გააკეთებდა. მაშასადამე, გასაკვირველი არ არის, რომ აქამომდე ომი არ გაცხოველდა. ხოლო ეხლა-კი სახიფათო დრო დადგა. მართალია, მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ იაპონიის ჯარს—უგზოობა და უამინდობა—მაგრამ მდინარე იალუზე გადასვლის უკანასკნელ ვადად აპრილის პირველი რიცხვები უნდა ყოფილიყო. სამხედრო გზმგეობა და სარდალი, რომელსაც წინ ისეთი ძლიერი და საშიში მოპირდაპირე ჰყავს, როგორც რუსეთია, არც ერთს საათს არ უნდა ჰკარგავდეს, რადგან გამარჯვება ამ შემთხვევაში სისწრაფეზეა დამყარებული. თუ რომ იაპონია აპრილის პირველ რიცხვებში დიდსა და ძლიერს ჯარს ვერ შეაგროვებს იმ ადგილას, სადაც მტერს უნდა შეებრძოლოს, მაშინ დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოუხერხებელი ყოფილა და უმთავრესი საშუალება ხელიდგან გასხლტომია – რუსეთის ჯარი ომის ველს დაშორებული იყო. იაპონელებს კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ისინი, თუ გამარჯვდება, მალე გაიმარჯვებენ, თუ არა და, რაკი კარგი დრო დაჰკარგეს, უთუოდ დამარცხებული იქმნებიან. თუ რომ სწრაფად და მტკიცედ არ შეასრულებენ თავის გეგმას, მერე სამ-ოთხჯერაც რომ დაამარცხონ რუსეთის რაზმები, მაინც ველარას გახდებიან.

ახლა ვიფიქროთ, რომ აპრილის პირველ რიცხვებში იაპონიის ძლიერი ჯარი იალუს გადაიდა და გაიმარჯვა კიდეც, ანუ მოწინაალმდეგე უკან დასწია, განა ამის გამო სრული გამარჯვების იმედი უნდა იქონიონ?—არა, მაშინ დავრწმუნდებით მხოლოდ, რომ ჩვენ მართლა გონიერ და სამხედრო ტეხნიკით აღჭურვილ სარდალთანა გვაქვს საქმე; გამარჯვებისთვის-კი საჭიროა მოხერხება და ძალა შუა მანჯურიაში შესაჭრელად და ძლიერის მტრის შესამუსვრელად. რუსების მოწინავე რაზმების უკან დახევა იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ისინი თავის უმთავრეს სიმაგრეებს უახლოვდებიან; იაპონელების წინ წაწევა-კი უფრო საშიში უნდა იყოს მათთვის. მხოლოდ მაშინ, თუ იაპონელები მოახერხებენ ხარბინამდე მისვლას და იმავე დროს პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის დაპყრობას,—მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ შეუკრან გზა რუსის ჯარს და უკან დახევის საშუალება მოუსპონ.

პროფესორი დელბრიუკი იმ აზრისაა, რომ ისეთის დიდის სახელმწიფოს დამარცხება, როგორიც რუსეთია, შეუძლებელია. ნაციონალური თავმოყვარეობა რუსებისა ყველა დაბრკოლებას აძლევინებს და მტერს გაარეკინებს ხმელეთიდგან. ხოლო მანჯურია და ყვითელი ზღვა ისეთ სახარბიელო რამედ არ მიაჩნია პროფესორს, რომ მსხვერპლად ჰღირდეს. სპარსეთი და ავღანისტანი მანჯურიასა და კორეაზე უფრო საჭიროა რუსეთისათვის და იქით გაწევა ურჩევნიან, თუ რომ შორეულ-აღმოსავლეთში ვერას გახდა. არა მგონია,—ამბობს პროფესორი,—რომ ინგლისს შეეძლოს წინაალუდგეს რუსეთს, თუ რომ რუსეთმა პირი იბრუნა. (რ. ვ.).

—

გაზეთ «ტაიმსის» კორესპონდენტს, რომელიც თავის საკუთარ გემით დასეირნობს პორტ-არტურის გარშემო, შემდეგი დეპეშა გაუგზავნია 5 აპრილს (ახალის სტილით) უმავთულო ტელეგრაფით:

ორმოცდა ათი საათი პორტ-არტურს ახლო ვდგევარ ჩვენის გემით. სრული სიმშვიდეა. პროჟექტორი რომ ელექტრონის სხივებივით არ ანათებდეს მიდამოს, სხვა ომის ნიშანი არა სჩანს-რა.

შევნიშნე მრავალი ნავები, რომლებიც ლიაოტეშანისაკენ მიცურავდნენ. ეტყობა, სურსათი უნდა მიჰქონდეთ პორტ-არტურისათვის.

შანჰაიდან «დეილი ტელეგრაფს» ატყობინებენ, იაპონელები ეხლა ანდუნს, ნიუჩუანს, გირინსა და ვლადივოსტოკისაკენ ჰგზავნიან ჯარსაო. 100,000 ჯარის კაცი ტაკუტონთან გადაუყვანიათ, მანჯურიის სამხრეთით, და ჰგზავნიან ჩრდილოეთსა და ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ. 40,000 კაციც კორეის ჩრდილოეთ-დასავლეთს გადასულა და იალუსაკენ მიდის.

ერთი რაზმიც, რომლის რაოდენობაც ჯერ არავინ იცის, კორეის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთს გადაუყვანიათ და დასავლეთისკენ გაუგზავნიათ. ამბობენ, ერთი რაზმი სამხრეთ-დასავლეთიდგან ნიუ-ჩუანზე მიდისო.

მცოდნე კაცები ამბობენ, ამ ჟამად რუსეთს მანჯურიაში 290,000 ჯარის-კაცი ჰყავსო. „დეილი ტელეგრაფის'' კორესპონდენტს ეს ცნობა საეჭვოდ მიაჩნია. («პ. ვ.»).

—

გაზეთ «დეილი მეილის» კორესპონდენტი იუწყება: ომის დაწყებიდგანვე ჩინე-

ლების ნავები თითქმის განუწყვეტლივ დადიან პორტ-არტურისკენ და სურსათს ეზიდებიან. წინ «ადმირალი» მიუძღვისთ. თუ რომ იაპონელების გემები შენიშნა, «ადმირალი» ანიშნებს ნავებს და ისინიც აქეთ-იქით გაიფანტებიან. შემდეგ ისევ იკრიბებიან დანიშნულ ადგილს და თავისას არ იშლიან. ამრიგად, პორტ-არტურში მრავალი სანოვაგე სურსათი და ქვანახშირი შეაქვთ. («ნ. ვ.»).

—

ინგლისის მეზღვაურთა ვარაუდით, იაპონელების გემებით შესაძლოა ერთბაშად ორი დივიზია გადავიდეს კორეაში. მისვლა-მოსვლასა, გემების დაბარგვასა და დაცარიელებას 13 დღე უნდება. იაპონიის ლაშქარში 348,000 კაცი რომ ვიანგარიშოთ და 540 ზარბაზანი, მაშინ ამ ლაშქრის მთლად გადაყვანა მხოლოდ მაისში გათავდება. («ნ. ვ.»).

«ტიანძინის კურიერი» ამბობს: რამდენიმე ჩინელი, ხის მასალის მზიდველი, რუსებმა შეიპყრეს სწორედ იმ დროს, როდესაც ახალი რუსეთის საკონსულო სახლი და სამხედრო სკოლის შენობა უნდა გადაეწვათო. პოლიცია იძიებს, რა მოსაზრებით უნდოდათ პატიმრებს რუსების შენობის გადაწვაო. («ნოვ.»).

როგორც სეულიდგან იუწყებიან, იაპონელთა ჯარებს ფოტოგრაფიის რაზმებიც მისდევს. («ნოვ.»).

ჩინელების კერძო სამთამადნო კომპანიას მიუყიდნია რუსებისათვის 32,000 ტონი ქვა-ნახშირი.

## ტფილისი

*** გუშინ საქართველოს ექსარხოსის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი 31 მარტს დაღუპულის დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალის მაკაროვისა და მეზღვაურთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი.

*** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სხვა-და-სხვა კუთხიდგან მიიღო მილოცვის დეპეშები 25 წლის შესრულებისა გამო საზოგადოების წესდების დამტკიცების შემდეგ. როგორც გავიგეთ, არავითარი საიუბილეო დღესასწაული არ იქნება გამართული, მხოლოდ ამ წლის მაისის 15 შესდგება საიუბილეო წლიური საზოგადო კრება. სწორედ 15 მაისს. 25 წლის წინად, შესდგა პირველი საზოგადო კრება «საზოგადოებისა». დეპეშით საზოგადოებას მიულოცეს გორიდგან: მასწავლებელმა ზაქარია დავითაშვილმა, მღვდ. იოანნე კაპანაძემ, ალექსანდრე გარსევანიშვილმა, ნიკოლოოზ ჯავრიშვილმა, გრიგოლ ლოლაძემ, მღვდ. ხიზანაშვილმა, კოტე გარაყანიძემ და მღვდ. ცხვედაძემ; ბაქოდგან—ბაქოს ქართველობამ, ბათუმიდგან—ბ-ნმა ვოლსკიმ, საბენჩადგან—ქართველობის მონდობილობით ბ-ნთ მაჰავარიანმა და სალარიძემ, განჯიდგან—განჯის ქართველობამ, კავკავიდგან—ბ-ნთ ლორთქიფანიძემ და კახიძემ.

*** რამდენსამე რუსს ამხანაგობა შეუდგენია და აპირებს შეიძინოს და შეიმუშაოს რუსეთის იმპერიაში, ნამეტნავად კავკასიაში, სხვა-და-სხვა მადნეულება. ამხანაგობას თანხა 250,000 მანეთი ჰქონია. ამხანაგობის წესდება ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროშია განსახილველად.

*** დღეს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება პანაშვიდი გივი ამილახვარის სულის მოსახსენებლად, რომლის წყალობითაც სიონის ტაძარი მეჩეთად არ იქმნა გადაკეთებული ოსმალოთაგან.

*** წიგნის გამომცემელს არაბიძეს განუზრახავს გამოსცეს ღია წერილები, რომელზედაც დახატული იქნება ჩვენნი გამოჩენილნი მწერალნი. ჯერ-ჯერობით გამოუცია ორგვარი წერილები. პირველზე არის მოთავსებული გიორგი ერისთავის სურათი, მეორეზე—მამია გურიელისა. წერილები ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში იყიდება და ღირს შაურად.

*** 18 აპრილიდან მატარებელთა მიმოსვლა შეიცვლება. სიები მატარებელთა მიმოსვლისა ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ დაუგზავნა რკინის გზის ყველა უფროსებს.

*** მოკლე ხანში კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება განიხილავს ზურნაბადის საქონლის ჭლექის საწინააღმდეგო სადგურის გამგის ე. პ. დეუნკოვსკის მოხსენებას «საქონლის მალიარია».

*** დღეს, 3 აპრილს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. კრება მოისმენს ვექილთა სხვა-და სხვა მოხსენებას.

** განზრახულია, 19 აპრილისათვის მოიწვიონ საზოგადო კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა.

*** მტკვარმა ტფილისში ერთობ მოიმატა.- მეტივეები დიდს გასაჭირში არიან. პირველ აპრილს რამდენიმე დაბმული ტივი წყალმა მოიტაცა.

*** როგორც ვუწყით, ბ-ნმა ბულდანოვმა მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისობას თავი გაანება. მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის ყველა საქმეებს ამ ჟამად ბ-ნ ბულდანოვისაგან ბ-ნი დანდუროვი იბარებს. ბ-ნ დანდუროვს განუზრახავს საქმეების ჩაბარებისათანავე მოიწვიოს საზოგადო კრება.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველ იანვარს 1904 წ. დაუმტკიცებია ოზურგეთის საზოგადო ბიბლიოთეკის წესდება.

*** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამმართველომ ნება დართო, რომ ქუთაისის ქალაქის თვით მმართველობას მიეცეს კონცესიით ტელეფონის მავთულების მოწყობა ქუთაისში.

*** როგორცვიცით ი. კ. ზუბალაშვილმა ტფილისის ქალაქის მოურავს 2,000 მანეთი გადასცა ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად. ამ ფულიდან 200 მან. იმ კომისიას გადაეცა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ღამის თავშესაფართა ყურის გდება, 300 მანეთი კი იაფ-ფასიან და უფასო სასადილოების გამმართველ კომიტეტს. დანარჩენი ფული ჯერ-ჯერობით ხელ-უხლებელია.

*** ერევნის გუბერნიაში, ნახიჩევანის მაზრის მახლობლად, აღმოუჩენიათ დიდძალი კალიის თესლი, რომლის მოსასპობადაც ღონის-ძიებანი კიდეც მიუღიათ.

*** ამ ჟამად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი ტფილისს გარეშე იმყოფება სამსახურის საქმეთა გამო.

*** 11 აპრილს, მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება, სხვათა შორის, განიხილავს საგანს მოხუცებულ და დაავადებულ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთათვის თავ-შესაფარის აგების შესახებ და აირჩევს გამგეობის სამს წევრს და სარევიზიო კომისიის ოთხ წევრს.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ქ-ნი ბუდრინისა, რომელიც 15 წელს იყო ტფილისის დედათა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად, ქალაქის საბჭოს შემწეობას სთხოვდა ხანგრძლივის სამსახურისათვის. ეს თხოვნა მაშინ საბჭომ არ დააკმაყოფილა. ქ-ნი ბუდრინისა ხელ-ახლა სთხოვს ქალაქის გამგეობას, მეორედ წარუდგინე ჩემი თხოვნა ქალაქის საბჭოს განსახილველადაო.

*** უკვე განიკურნა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ტფილისის ქალაქის მოურავი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი.

*** 5 აპრილისათვის დანიშნულია საზოგადო კრება წყალში დაღრჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოებისა. კრება სამეურნეო საზოგადოების დარბაზში იქმნება.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის მინდობილობით, აგრონომს ტიმოფეევს შეუდგენია მოკლე დარიგება იმის შესახებ, თუ როგორი ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული სიმინდის პეპელის წინააღმდეგ. დარიგება ქართულად გადაუთარგმნიათ და დაუბეჭდიათ ცალკე ფურცლებად სოფლის მცხოვრებთა შორის გასავრცელებლად. ფურცლების გავრცელება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დაევალა.

*** ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო გამგეობას ცნობა მოუვიდა, ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებში ბავშვთა შორის ყვავილი გავრცელდაო. სამკურნალო გამგეობამ მკურნალი გაჰგზავნა ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად.

*** ნუხში აბრეშუმის ფასი ერთობ დაცემულია. ამის გამო ზოგიერთ ქარხნებს, სადაც აბრეშუმი მზადდება, მუშაობა შეუწყვეტია.

*** 31 მარტს, მტკვრის ნაპირას, მუხრანის ქუჩის ახლო, იპოვეს გვამი რაჰის მცხოვრების ზურაბ ტომარაძისა. არ ეტყობა, თუ ვინმემ ძალად მოჰკლა. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს.

*** ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას აქვს დაარსებული ტფილისის საკომერცია სასწავლებელში ათი სტიპენდია. უნდოდა ათი კიდევ დაეარსებინა, მაგრამ რადგან საჭირო თანხა, რომლის სარგებელიც უნდა სტიპენდიებს მოჰხმარებოდა, არ არის სადმე ბანკში დაბინავებული, გუბერნატორმა ნება არ დართო ამ სტიპენდიების დაარსებისა. მალე განზრახულია საზოგადოების კრება ამ საგნის განსაბჭობად. საზოგადოება ჰფიქრობს, შვიდის კლასის მაგიერ, მერვეც დაარსდეს. ექვს კლასში ისწავლებოდეს საზოგადო განათლების საგნები, ხოლო ორს უკანასკნელში—სპეციალური.

*** მალე ტფილისში ჩამოვა ბ-ნი ვერმიშევი, რომელიც პეტერბურგში იყო გაგზავნილი და უნდა დასწრებოდა იმ განსაკუთრებულ ბჭობას, რომელიც მიწად-მოქმედებისა, და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგის თავსმჯდომარეობით იკვლევდა ღვინის ვაჭრობასა და ფალსიფიკაციის საქმეს. ვერმიშევი თან ჩამოიტანს ყოველგვარ მასალას და იმ ბჭობის გადაწყვეტილებას და მოახსენებს ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას.

*** ტფილისის გამგეობა შესაძლოდ სცნობს ჩაურთოს ქალაქის საზღვართა შორის ვარაზის ხევს გაღმა მდებარე ადგილები წყნეთისკენ, საცა აშენდა სემინარია და სათავად-აზნაურო სკოლა. ხოლო იმ პირობით, რომ აქაურმა მამულის პატრონებმა შეატყობინონ ქალაქს, რა ვალდებულებას იკისრებენ ქალაქის წინაშე, გაიყვანენ თუ არა ქუჩებს, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას იმ ხარჯში, რომელიც ქალაქმა უნდა მიიღოს, რომ საერთო გეგმა შესდგეს «ვაკესი», გააკეთებენ თუ არა ხიდს ხევზედ და სხვ.

## ჩვენებური ამბები

**ოყურეში.** (ლეჩხუმის მაზრა). ოყურეშის საზოგადოებას შეადგენს ხუთი პატარა სოფელი—ოყურეში, ოფიტარა, ლაშქმიტა, ისუნდერი და მახურა, სულ 400 კომლამდე; მათ შორის 60 კომლამდე აზნაურია. ეს საზოგადოება მდებარეობს ღ. ხონიდგან 35—37 და ქ. ცაგერიდგან 20 ვერსის მანძილზე, მაღალ მთა-გორიან ადგილზედ.

აქაური მცხოვრებლები თითქო ვინმეს განგებ ჩაუგრია და ჩაუჭედია ორ თვალ-მიუწვდომელ მთას შუა, შუაშა-კი მიძვრება მდინარე ცხენის წყალი, რომელიც გასაწყვედელი კარია მცხოვრებლებისა. მდინარეს დაუყვება ბილიკი. დიდი განსაცდელია ადამიანისთვის ამ გზაზედ მიმოსვლა. ალაგ-ალაგ ცხენი ძლივს მიძვრება ორ სიპ კლდეს შუა. წვიმას შემდგომ გზა ძნელი გასარჩევია და, ვინ იცის, რომელ ხრამში მოელის გადავარდნა მგზავრს! არა ერთი და ორი მგზავრი უმსხვერპლნია ამ ბილიკის ხრამებს. ქვეყნის გაჩენიდგან დღემდის ამ გზას არავითარი ყურადღება არ მიჰქცევია არც მთავრობისაგან და არც მცხოვრებლებისაგან, მხოლოდ ამას წინად გაჰგზავნეს განაჩენი, რომლითაც საზოგადოება სთხოვს მთავრობას დახმარებას, რომ ოყურეშიდგან ბომბის *) ხიდამდე გააკეთოს გზა. აღუთქვამთ 2,000 მანეთი ფულად და მუშაობა; მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ბედნიერი მოლოდინი გაგვიცრუვდება...

თავი და თავი ნუგეში აქაურ საზოგადოებისა იყო ღვინის მოსავალი, რომელიც წარსულ წლებში ისე ბლომად მოდიოდა, რომ ჭურჭელსაც ვერ მოუღობდნენ ჩასასხმელად და ღვინოც შესანიშნავის ხარისხის იყო. 1903 წლის მოსავალი გაანადგურა სეტყვამ. ვენახი-კი სრულიად გახმა სხვა-და-სხვა სენმა. დღეს, იმის მაგიერ, რომ ვენახს, აშენებდნენ, ჩამდგარან ზვარში წალდებით და ძირში სჭრიან გამხმარ ვენახს. ღვინის, დაჩვეულებმა კიდარ მოითმინეს, მიესივნენ მიწას, აბრუნებენ და ამერიკულ ვაზს აშენებენ, მაგრამ ადამიანმა უწყის, რა შედეგი მოჰყვება ამას, რადგანაც მცოდნე და უვიცი—ყველანი მუხიან და რა ჯიშის ლერწს რომელ ნიადაგზედ ჰრგვენ, არ იციან.

აქ ექიმის სახელს ხომ ვერ გაიგონებთ. ხონიდგან ექიმის მოსვლა შეუძლებელია უგზოობისა გამო; რომ იკისროს კიდეც წამოსვლა, აქაურ ღარიბ ხალხისათვის ის სასიადელი ხელმიუწვდომელი იქნება, რამდენსაც ექიმი მოსთხოვს. ამ რიგად, მცხოვრებლები თავს უდებენ რაიმე უბრალო სენს და, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ესალმებიან წუთი-სოფელს.

სწავლა-განათლება ჯერ აქ ხომ ბანზედ არას შეგდებული და მაინც და მაინც არცკი ეპიტნავებათ, რადგანაც არ იციან სწავლა-განათლების გემოვნება. აქ არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი 1870 წლიდგან; ამას შემდეგ ამ სკოლას არაფერი მოჰმატებია; პირიქით, დასწვეს ექვსის წლის წინად. მას მერე იყიდეს ერთი ფიცრული შენობა, რომელშიაც ზამთარში გაძლება შეუძლებელია. ზემოდ ნახევრამდის ჭერი არ აქვს, სახურავში ყოველგან წყალი ჩამოდის, ქვეით იატაკი ბევრგან აყრილია, ფანჯრებში 22 მინა აკლია, კედლებში ჩიტი გაძვრება, ისეთი ფარღალალებია. ცივ წვიმიან დღეს რომ შეხვიდეთ სკოლაში, ბავშვების ძიგ-ძიგი და უზარო ტირილი შეგზარავთ. ბუხარში ცეცხლი ხომ საჭიროც არ არის! ამისთანა უბედურ გარემოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ამ სკოლას 18 წელიწადს მზრუნველად ჰყავდა ბიჭინა მუშკუდიანი, რომელსაც საზოგადოება და მასწავლებლებიც მადლობას უცხადებს დაუღალავ შრომისათვის. ეხლა ჰყავს მზრუნველად იესე მამარდაშვილი, რომელიც არამც თუ რაიმე დახმარებას უწევს სკოლას, პირიქით, სცდილობს რაიმე შეაგლიჯოს თავის სასარგებლოდ. მაგალითად, მასწავლებლის აქ არ ყოფნის დროს, თუ კი რაიმე ოთახისა და სამზარეულოს წვრიმალი სამკაული იყო, მოიტაცა და შინ წაიღო; ვერავითარის თხოვნით ვერ გამოართვა მასწავლებელმა.

აქ პირველ მარტიდგან აკრძალეს იარაღის ტარება.

აქ მარტის 1 რიცხვებიდგან ცუდი ამინდებია—ქარი, თოვლი და მუდამ წვიმებია.

დრო.

*) ბომბის ხიდია მდ. ცხენის წყალზე ხონიდგან 10 ვერსის მანძილზედ, რომელზედაც ფიცარი სულ აცვენილია და ხალხი ბობღვით გადის ზედ, აგერ ერთი წელია.

# ფელეტონი

## ისტორიულ პიესის წარმოდგენის გამო.

(ვუძღვნი ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას)

Feci quod potui, faciunt meliori potentes.

(შემდეგი *)

ქართლ-კახეთში, დიდი ხანი არ არის, რაც მოკლე ჩოხის (მუხლის თავებამდისინ) ჩაცმა დაიწყეს. ტანს ეცვათ: სარტყელი მოქსოვილი—აბრეშუმისა, ბამბისა, ორი თითის სიგანე—ჩაფარიშისა, მას ზედ ორი თითისვე სიგანე რიზაის, ქირმანი შალის არშია, ანუ აბრეშუმის, შალის ქსოვილი რაიმე, ცოტად წვერ (ტოტებ) დაშვებული. ჩემ ხსოვნაში ამგვარად ერტყათ სარტყელი ძველ თაობის დარბაისელთ, ხანში შესულთ, მოხელეთ (მარშლებს, დეპუტატებს სასამართლოებში, სოვდაგრებს. როდესაც რო ამგვარი სარტყელი ჰქონდათ შემოკრული, ხრმალს იკრამდნენ მხოლოდ უხანჯლოთ. შემდეგ იკრავდენ თასმის ქამარს, — შორი-ახლო დასხმულ ოქრო-ვერცხლის ღილებით მორთულს, ჩვენ დროს-კი თასმაზედ მჭიდროდ ასხმულს ვერცხლ-ოქროს ღილებიან ქამარს. ვგონებ პირველ ნახევრამდისინ წარსულ საუკუნოისა ქამარზედ ორთავ მხარეზედ წინ-მარჯვნივ—მარცხნივ-ეკიდათ ყაბიწებზედ თითო-თითო ოქრო-მკედით ანუ აბრეშუმით მოქარგლული ტყავის სადუმესატყვიე, მაშრაფას მინამგზავსი.

ფეხთ: ტოლაღები, 38) პაჭიჭი, საცვეთები, კუნთებზედ გამოწყობილი, ყაფალიანი. საცვეთები ქვემო გაჭრილი იყო, ჰქონდა ცალ მხარეს სამი თავისივე (ტყავის) ტოტი—ყაფალი, ოქრო-მკედ ანუ აბრეშუმ ზორან მოვლებული, რომელიც იკვრებოდა მეორე მხარეს თასმისვე ღილებით, მოკლე ყელიანი, ჰვინტიანი მეშის ტყავის ყაფალიანი ჩექმები, საცვეთებზედ ჩასაცმელი, გვერდზედ (მარჯვენა მხარეს) გაჭრილი თასმა, ღილებით შესაკრავი, საცვეთებსავით ყაფალიანი, ქუსლებ მაღალი, ორ-კბილ ნალიანი (თითო ნალზედ ცერად იჯდა ორი მოგრძო ლურსმანი, რომელთა წყალობით ფეხი ადვილად ვერ გაცურდებოდა, მოსხლტებოდა დაღმართში, ყინულზედ, მოლიპულზედ). მაღალ ყელიანი ყარაბაღული ჩექმები, ჰვინტიანი, იმგვარ ქუსლიანი, როგორც ყაფალიანი, ან ყაფალითვე შესაკრავი, ან გვერდზედ გაჭრილი და ყაითნით შესაკრელი; პაიჭ-საცვეთები, ჩექმების ყელი იჭირებოდა ლეკვერთხით—აბრეშუმბამბის პატარა ფოჩებიან ჩაფარიშით, ჩექმის ყელის თავი ენიან—ფუნჯიანი, წუღა, ქოში, ფოსტლები (უქუსლო ქოში), ჩითა, ქალამანი.—ხმარობდნენ ჩექმაზედ დეზსაც. («ჩექმა დეზითურთ ხმარის»(საქართვ. ზნეობა, მეფე არჩილის მიერ აღწერილი). ზედ ესხათ ქურქი, მოკლე ლეკური, გრძელ ბეწვიანი, ჩით-მერდინით, ანუ თასმით შესაკრავი ყელზედ. ნაბადი («ჩემო ნაბადო, ანდის ნაბადო»!). დღეს ამგვარი ნაბადი დავიწყებულია, ეტანებიან ჩერქეზულ, მოკლე ბეწვიან, კოჭებამდისინ გრძელ ნაბადს. ყელზედ იხვევდნენ ჩით-მერდინს—დიდ-აბრეშუმის ბაღდადს (ქალაღაია), რომლისა ერთი წვერი გულზედ იყო დაშვებული, ყაბალახს.

მე XVIII საუკუნოიდან, ოსმალოთა მიბაძვით «სამცხე-საათაბაგოში თავს იბურავდნენ ფესს-უფოჩოს, რომელზედაც იხვევდნენ სხვა სხვა ფერ სხვა და სხვა ქსოვილის დოლბანდს (ჩალმა), ტანს მოკლე წელამდისინ, უკალთო, საყელოიან, ყაითნის სხვილი ღილებით შესაკრავ, პატარა ყოშებიან ახალუხს, ზედ ეგრეთვე უკალთო, ცოტათ უგრძელეს ახალუხისა, იღლიიდან მაჯებამდის სახელებ გაჭრილ ყოშებიან ჩოხას, სადას, ან ოქრო-მკედ ბუზმენტ-ზორნით მორთულს, უღილოს, სათავეში განიერ, ლარით შესაკვრელ, მუხლ ქვევით წვივებთან ვიწრო შალის, მაუდის (სხვა და სხვა ფერის, უფრო კი ფირუზის ფერის) შალვარს, რომელიც წვივებთან ღილებით იკვრებოდა,—შალვარ-ახალუხზედ განიერი შალის, აბრეშუმის სარტყელი, რამდენჯერმე წელზედ შემოხვეული. ახალუხი ყუთნისა, (ბანბის ან აბრეშუმის ნაქსოვი), ჩოხა სხვა და სხვა ფერ მაუდისა, შალისა; ფეხთ ჩუსტებს, ქალამნებს, ქოშს, ოსმალურად ანუ ახალ-ციხურ-ჰვინტიანნალიან (უკბილო), სხვა და სხვა ფერ მეშის ჩექმას. ეს ჩექმა განირჩევის ყაფალიან-ყარაბაღულისაგან მით, რო იგი, როგორც ყელში, ისე კოჭებამდისინ თითქმის ერთი სიგანისაა, საწვივებით არ იჭირება ყელში: არა აქვს ყაფალები.

დღეს ზემო ქობლიანელელებს(ახალ-ციხის მაზრა), აჭარლებს, გურულებს, ქობულეთლელებს ერთ ნაირად აცვიათ. თავს სხვა და სხვა ფერი თავ წაკრული ყაბალახი-ყომრალი, შავი, აბრეშუმ-ოქრომკედით ნაკერი. ტანს, როგორც მესხთ, მოკლე, უკალთო ახალუხი-უყოშო (უსახელოს «ჟილეტკას» ჰქვიან, ელეჲი (საყელოიანი,ყელამდისინ შესაკვრელი,ზედ უღილებო უკალთავო, ვიწრო სახელოებიანი (არ გაჭრილი).კაბტუა ჩოხა,ჭონია, რომლისა ერთი კალთა გადადის მეორეზედ, რომელზედაც შემორტყმული სამჟაღ- ანუ იოჯაშუის სარტყელი (სარტყელი ესე გრძელია, განიერი ფოჩებიანი, აბრეშუმისა.) მასზედ შემოკრულია ბელყაიში ტყავის ოქრო მკედ-აბრეშუმით ნაკერი ქამარი, წინ მარცხნივ მხარეს განიერი თანდათან უფრო და უფრო ვიწრო, უკან შესაკვრელი; ამაზედ უკან ჰკიდია დანა, სადუმე, ბაწარი (აბრეშუმის წვრილი თოკი), ტყავის—მათარის მინამგზავსი—სატყვიე, მათარა, ორივე ოქრომკედ-აბრეშუმით ნაკერი. ამაზედ უკან აკრავს ტყავისავე—ოქრომკედ-აბრეშუმით ნაკერი ერთი თეძოდან—მეორემდისინ—სასწრაფო თოფის წამლის—ფილაქა, ქილები სასწრაფოში ან ხისაა ან ლითონისა, სავსე თოფის წამლით (ბარუთით),—ყამა (ხანჯალი) და ფისტო (დამბაჩა, გარჭობილნი წინ-სარტყელში—ბელყაიში,—ყამა პრტყელი, მოკლე, ტარის თავი თითქმის ოთხ-კუთხი, არა თავ-წოწოლა, როგორც ქართული ხანჯალია, მაჭახელა (თოფი) მხარზედ გადაგდებული, ან მხარზედ გადებული, შალვარი—ჩაქური—სათავეში განიერი, ლარით შესაკვრელი, მუხლებიდან კოჭებამდისინ ვიწრო, მუხლ-წვივებზედ გაკრული, ტოტებზედ ორი თითის დადებაზედ—სიმაგრის გულისათვის—მოვლებული სამ-ოთხ რიგად ყაითანი,—ამავე გულისათვის ყველა ნაკერზედ მთელ ტან-საცმელისა მოვლებული ყაითანი. შემძლებელთ ელეჲი, ჩოხის გული, სახელები ოქრომკედ-აბრეშუმით ნაკერი,—ფეხთ ჩუსტები. ყაბალახის ტოტები უკან შეკრული.

საკვირველი მოაზრებული სამხედრო

*) იხ. «ივერია», № 72.

38) სამი თითის სიგანე რაიმე ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც ერთ წვერზედ მოკერებული აქვს სამ ტოტად გაყოფილი ზორანი. ტოლაღს ხვევდნენ პერანგის ამხანაგის, შალვრის ტოტებზედ, უფრო-კი პირველზედ. იქნება უადგილოდ არ იყოს აქ მოვიხსენიო, რო დავით რექტორი ალექსიევ—მესხიევი, მეტსახელი რომლისა არის „ცუკია“, ნაცვლად პაჭიჭ-საცვეთისა, ხმარობდა აბრეშუმის ბაღდადს (ჩით-მერდინს) ტოლაღებად. „ცუკია“ ნიშნავს მომხიბლავს. ეს სახელი დაარქვა მას ბებია ჩემმა სოფიომ, ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრის მეუღლემ—როგორც ლამაზ, მომხიბლავ, კოხტად ჩაცმულს.

ავტორი.

## კახელ მევენახეთა საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება.

(შემდეგი)

9 მარტს, საღამოს 8 საათზედ, გაიხსნა კრება. თავმჯდომარე სთხოვს დამწრეთ, მოისმინონ სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა.

გამგეობის თავმჯდომარე. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ორად განიყოფება: ერთ ნაწილში არის აღნუსხული ხარჯი დაუბრუნებელი. მეორეში, თანახმად კრების გუშინწინდელის გადაწყვეტილებისა, აღნუსხულია დასაბრუნებელი ხარჯი, ორივე ერთად შეადგენს 145,300 მან. პირველი ნაწილი ისევ იმდენია, რამდენიც იყო წარსულ საანგარიშო წელს; მიმატებულია მხოლოდ ის ხარჯი, რაც პეტერბურგში განყოფილების გახსნამ გამოიწვია.

რადგანაც ხშირად გვესმის საყვედური, რომ ბევრსა ჰხარჯავთო, სხვა ვაჭრებს მაგდენი ხარჯი არა აქვთო და სხვ., მე უნდა მოგახსენოთ, რომ შედარების დროს შემდარებელი უნდა ადარებდეს ჩვენს ხარჯს ჩვენისთანავე მოვაჭრის ხარჯთან. ყველა სავაჭრო საქონელი ერთსა და იმავე მოვლას-კი არა თხოულობს.

არის საქონელი, რომელსაც დააწყობ ყაფაზებში და ოღონდ მტვერი გადასწმინდე, სხვა არა უნდა-რა გაყიდვამდის.

ღვინო სხვანაირი სავაჭრო საქონელია. აი, წაგიკითხავთ ხარჯთ აღრიცხვასა და გთხოვთ, ყოველივე მეტი ხარჯი მოჰკვეცოთ. ჩვენ დიდი მადლობელი ვიქმნებით, თუ-კი, როგორმე, ხარჯს შეგვიმცირებთ.

თვითოეული ხარჯი ცალკე განიხილა კრებამ, მაგრამ ერთი მინანთულიც ვერ გამოაძრო უკვე აღნიშნულ ჯამსა; წინააღმდეგ, აღიძრა კამათი, რომ კიდევ მიემატებინათ მოსაქმენი.

თავ. მ. ჩოლოყაშვილი. თუ გამგეობა დაკმაყოფილდება იმ მოსაქმეთა რაოდენობით, რაც დღეს არის, მე, რასაკვირველია, წინააღმდეგი არა მაქვს-რა; მაინც კი ვიტყვი, ურიგო არ იქნებოდა, გამგეობას მიეწვია ერთი კასსირი, რაც შედარებით ძვირად არ დაგვიჯდებოდა და ერთ გამგეობის წევრს გაანთავისუფლებდა რომელიც უფრო ძვირფასს საქმეს გაგვიკეთებდა.

გამგეობის თავმჯდომარე. ჩვენის ბუჰგალტერიის წეს-რიგს იწუნებენ, თვით ბუჰგალტერსაც ემდურებიან, ეს მიტომ ხდება, რომ ბუჰგალტერიის სხვანაირად მოსაწყობად სამი კაცია საჭირო. სამი კაცი რომ იყოს, მაშინ თავისუფლება მეტი იქმნებოდა, სხვა საქმეს, აი თუნდა სარდაფს, დაჰხედავდა. აიღეთ ჩვენი კანცელიარია. საშინლად ბევრი დრო უნდება მიწერ-მოწერას. ერთი კაცი ძლივს მოასწრობს მარტო წევრებთან მიწერ-მოწერასა. ერთი კაციც შემომკვთელებთან მიწერ-მოწერას მოუნდება. ჩვენ რომ ამას გამოვუდგეთ, ხუთი მოსაქმე კაცი მოგვინდება. თავ. მ. ჩოლოყაშვილმა დაგვაყვედრა, 10 საათ. 3 საათამდის მუშაობენ გამგეობის წევრნიო. უნდა დამინახოს, როცა ერთი იღლია ქაღალდები მიმაქვს შინ და ღამის 3 საათამდე ვმუშაობ; მაშინ აღარ იტყოდა, მაგრამ საიდან დამინახავს, იმას მაშინ სძინავს.

თავ. მ. ჩოლოყაშვილი. მე ეგ კარგად ვიცი, სხვებმაც კარგად იციან ყველაფერი ეგა და თამამად შემიძლიან ვსთქვა. ყველანი რომ ისე მუშაობდნენ, როგორც თავმჯდომარე, საქმე ბევრად და ბევრად გაუმჯობესდებოდა. ეს უცილებლივ ასეა. მაინც, არც ის შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ 3-დან 8 საათამდე მთელი დაწესებულება უპატრონოდ რჩება. აგრეთვე უყურადღებოდ არის დატოვებული განყოფილებანი. ჩვენ არსად არა ვხედავთ განყოფილებაში რევიზიის კვალსა. მართალია, გამგეობის თავმჯდომარემ გვითხრა, რომ ბაქოსას წელიწადში ორჯელ ვუშვრებით რევიზიასაო, მაგრამ არც ეგა კმარა და არც ამისი საბუთებია საქმეში. მოსკოვის განყოფილება ხომ ღვთის ანაბარად არის დატოვებული. სხვები კიდევ უარეს დღეშია.

გამგეობის თავმჯდომარე. რაც შეეხება იმას, რომ საზოგადოების დაწესებულება უპატრონოდ არისო, ეს ასე არ არის. ჩვენ, როგორც წინადაც მოგახსენეთ, სარდაფის კარებში კაცი გვიყენია. ამ საქმისათვის ორი კაცი გვიჭირავს, რომ ჯერ-ჯერობით მოუშორებლივ ერთი იქ იყოს. რატომ ჰგონია თავ. ჩოლოყაშვილს, რომ გამგეობის წევრს შეუძლიან ყურის გდება და სხვას-კი არა? რაც შეეხება განყოფილებათა რევიზიას, ჭეშმარიტია, ისე არ არის ეს საქმე მოწყობილი, როგორც სასურველია. მალე 7 განყოფილება გვექნება და მოგვინდება ერთი კაცი განსაკუთრებით სარევიზიოდ. რაც დრო განყოფილებათა რევიზიას გადარჩება, იგი ტფილისში იქნება ამავე საქმეზედ, რაც ძალიან კარგი იქნება.

თავ. მ. ჩოლოყაშვილი. მე ვსთხოვ კრებას, დანიშნოს ფული რევიზორისათვის.

ამან გამოიწვია ანგარიში, თუ რა ჰღირს წასვლა-მოსვლა მოსკოვსა და პეტერბურგს, რა ეღირება წასვლა-მოსვლა სხვა ადგილებში, რამდენი დაეხარჯება რევიზორს დღეში საცხოვრებლად. გამოანგარიშებამ შეადგინა 1,700 მან., ჯამაგირიც 1,800 მ.; სულ 3,500 მან. კრებამ გადასწყვიტა, რევიზორის დასაქირავებლად და საგზაო ხარჯად მიემატოს ხარჯთ-აღრიცხვას 3,500 მ. ამასთანავე უჩვენებს თავ. ალ. ვახვახიშვილზედ, როგორც საიმედო კაცზედ.

გამგეობის თავმჯდომარემ, როცა ამოიკითხა თელავის ბიუროს ხარჯთ-აღრიცხვა, კრებას გაახსენა, რომ დავალებული იყო თელავის ბიუროს ანგარიში მოეხსენებინა. იანგარიშეს ყველაფერი და აღმოჩნდა რომ თელავის ბიუროს შაბიამანი დაჰკლებია 30 ფუთი, ხოლო ეს რიცხვი კიდევ შეიძლება შემცირდეს, როცა თვითვეულად ბოჭკები გამოიწონება. ბიუროს ხარჯიც აღუდგენია და თუ არ ვიანგარიშებთ ამომღებოა ჯამაგირსა და ცხენის ხარჯს, მოგება ჰქონია 650 მან., გარდა ბევრნაირ სამსახურისა, რომელიც ბიუროს გაუწევია საზოგადოებისათვის.

ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენებამ გამოიწვია დამფასებლების რაოდენობაზედ კამათი. კრებამ გადასწყვიტა, დამფასებლად სამნი იყვნენ და დაენიშნოთ სამთავეს დღიურ ხარჯად 20 მან.

კრებამ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა გადასცა სარევიზიო კომისიას. კრება გადაიდვა 10 მარტისათვის.

ნადიკვრელი.

## თეატრი და ხელოვნება

—

«კერიას ნახშირი»! როგორც იყო, ბაქოსა და მისს ქართველებსაც ადირსა თავის მოწყალების თვალი ზოგიერთმა ჩვენმა მსახიობმა. „როგორც იყო თქო", ვიმეორებ, რადგანაც, აგერ 3 წელია, რაც ბაქოში ვცხოვრობ და არ მინახავს, რომ ან დრამატიულ საზოგადოების გამგეობის განკარგულებით, ან და საკუთარის ინიციატივით, აქ რომელიმე ქართველი მსახიობი ჩამოსულიყოს და წარმოდგენა გაემართოს.

„ბაქოს ქართველობას მხოლოდ მაშინ მოგვიგონებენ როცა ნივთიერი დახმარება დასჭირდება ჩვენგან ვისმეს",—აღნიშნა ამას წინად «ივერიის» ფურცლებზე ერთმა ბაქოელმა კორესპონდენტმა, და სწორედ რომ მართალია ეს სიტყვები... მაგრამ რას იზამთ!..

აქ კიდევ ვიტყოდით ცოტა რასმე, მაგრამ წინასიტყვაობა რომ არ გაგვიგრძელდეს ძალიან, თავს ვანებებ ამაებს და გადავიდეთ პირდაპირ საგანზე:

აგერ 2 თვეა, რაც ბაქოს ქ-ნი ნ. ჩხეიძე ესტუმრა და მისის მონაწილეობა-თაოსნობით გაიმართა ორი წარმოდგენა: ერთი (როგორც მახსოვს) 22 თებერვალს და მეორე 19 მარტს.

პირველად დადგეს «უბედური ნაბიჭვარი» კარეევისა, მეორედ კი «სტუმარი», 2 მოქ. დრამა ბრანდესისა თარგმანი ი. მაჭავარიანისა, და 2 მოქ. კომედია „ადამ და ევა" («Женскій трудъ»), თარგმანი დ. მესხისა.

ბევრ ჩვენგანს უნახავს ქ-ნი ნ. ჩხეიძე «უბედურ ნაბიჭვარში» ტფილის-ქუთაისის სცენაზე და მისთვის აშკარაა, რა ხელოვნებითაც ითამაშებდა იგი აქაც ამ პიესაში. *).

ბაქოელებზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისს ამ პიესაში თამაშს და ბევრმა ის აზრიც კი გამოსთქვა, რომ თუ ჯეროვანს შემწეობას აღმოუჩენთ ქ-ნ ჩხეიძის ნიჭს, ჩვენც გვეყოლება კომისარჟევსკაიაო...

«სტუმარში» ნ. ჩხეიძე ასრულებდა ფლორიზელის როლს, მხოლოდ ვერ იყო ამ პიესაში ისეთი, რაც «უბედურ ნაბიჭვარშია» ხოლმე. ამის მიზეზი ერთი ის იყო, ჩემის აზრით, რომ მისს თამაშს ხელს ვერ უწყობდა ბ-ნი ქორიძე (ნერგორი); ის რადაც ცივად და უსიცოცხლოდ თამაშობდა, მეორე კი ის, რომ პიესა ერთობ პატარაა და, როდესაც მსახიობი როლში შედის, ის უკვე თავდება; ამისათვის მსახიობიც ვეღარ სტოვებს ჯეროვანს შთაბეჭდილებას მაყურებლებზე.

სამაგიეროდ, პიესის შინაარსია დიდ მნიშვნელოვანი ჩვენის საზოგადოებისათვის, სადაც ისე უკანონოდ, ისე უთანასწოროდაა დაყოფილი ქალთა და კაცთა შორის უფლებანი: მამაკაცებს, როგორც ქორწინებამდე, აგრედვე შემდეგაც, საგმირო საქმედ მიგვაჩნია ლამაზებზე ნადირობა, მათი შეცდენა, მათი გაბრიყვება. ამისათვის ძვირად გვკიცხავს ვინმე; სამაგიეროდ ქალებმა, გინდა ქალწულებმა, გინდა გათხოვილებმა, რომ ერთი თვალი «დაუპაჭუნონ» ვინმე, «უბად ასადებად, წყალ-წასაღებად» გავხდით ხოლმე... ვის იცის, ზოგიერთი ქმარი რანაირ ცხოვრებას არ ატარებს, ვის არ დასდევს, სად არ ათენებს ღამეებს! და ამავე დროს ცოლს ეუბნება: «შენ გულშიაც არაფერი გაივლო, თორემ შავს დღეს დაგაყენებო»!..

რა მოსაზრებით, ალაჰმა უწყის!.. ის კი არ იფიქროთ, ამით იმის თქმა მინდოდეს, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს უნდა გამოეჯიბროს ყოველსავე სისაძაგლეში და თავზედ ხელ-აღებულად იმოქმედონ-თქო; არა—ამით ის უნდა აღვნიშნო, რომ რა ნება აქვს მამაკაცს, რომლის თავზედ, «კალთის მეტს» უთვალავჯერს გადაუვლ-გადმოუვლია, დედაკაცს ზნეობითი სიფაქიზე მოსთხოვოს და ოდესმე უნებურად ჩადენილი დანაშაული მომაკვდინებელ ცოდვად ჩაუთვალოს!

ცოლ-ქმარი იგივე ამხანაგებია, მათ ყოველისფერში ერთი-მეორეს ანგარიში უნდა გაუწიონ.

მაშ რა უფლება აქვს (ავიღოთ მაგალითისათვის 2 ვაჭარი ამხანაგი), რომ ერთმა ალთა-ბალთა ფლანგოს დუქნის შემოსავალი და მეორეს უთხრას: «შენ მუდამ დახლს მოუჯექ, ყოველისავე კაპეიკის ანგარიში გასწიეო»?..

ნუ თუ ასეთი ღვთის ბატკანი იყო ნერგორი, რომ ფლორიზელის გათხოვებამდე ჩადენილმა დანაშაულმა ასე აღაშფოთა და მისდამი ზიზღი აგრძნობინა, მასთან თითქმის ყოველივე კავშირი გააწყვეტინა?

თამამად გიტყვი: არა და არა-მეთქი, მაგრამ ასეთი ვართ საზოგადოდ კაცები და ჩვენთა და ქალთა შორის უფლებათა უთანასწორობაც. სხვათა შორის ამაში იხატება. ეს აზრი მშვენივრად არის პიესაში.

სუსტი იყო ბ-ნი ქორიძე (ნერგორი), რომელმაც ცივად ჩაატარა როლი. სამაგიეროდ კარგი იყო კ. მესხი რეჰპოლდტის როლში...

«ადამ და ევაში» ივანიკას თამაშობდა კ. მესხი, თამარიკასე. მესხი და ახირებულიძეს ბ-ნი ალავიძე. ქ.-ბ. მესხთა თამაშმა ბევრი აცინა საზოგადოება და მრავალ ვაშათი დააჯილდოვეს ორთავე. გვარიანი იყო ბ-ნი ალავიძეც.

წარმოდგენა გაიმართა არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, რომელიც, რადაც მიზეზის გამო, არ იყო სავსე ხალხით.

პ. მაჭავარიანი

---

*) მე თვითონ არ დავსწრებივარ აქ ამ თამაშს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობ საზოგადოების შთაბეჭდილებით, რომელიც, სხვათა შორის გამოითქვა ერთ კრებაზე...

ამ კრებაზე ქ-ნ ნ. ჩხეიძეს დიდ ციხე-დარბაზებს დავპირდით, მაგრამ... ვაი თუ დაპირება დაპირებად დარჩეს! პეტრე.

### შეცდომის გასწორება.

უკანასკნელს ფელეტონში: „ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო", კიდევ ისევ ის შეცდომები იყო, როგორც პირველ ორ წინა ფელეტონში: არ არის დაცული მართლ მწერლობა, სიტყვები შეცვლილია, სხოლიოები გადარეული; მაგალ.: 1, არ არის აღნიშნული, გამოშვებულია, № რომლის განგრძელებაა და შემდეგი იქმნება თუ არა, 2, ნაცვლად „მოქსოვილი" დაბეჭდილია „მოგროვილი" (2 კაბ, 3 სვეტი, სტრიქ.), 3, შემდეგ სიტყვისა „შალისა" (2 კ. 3 სვ., 4 სტრ.) უნდა იჯდეს მძიმე, 4, „ტანთ-საცმელის" შემდეგ უნდა იჯდეს მძიმე (2 კ. 3 სვ. 12 ტრ.), 5, „უმოკლესად გარდაიქცას" შემდეგ ნაცვლად მძიმესი უნდა იყოს ხაზი (– ტირე) (იქვე ტრ. 16), 6, შემდეგ „უმოკლესი" ეგრეთვე უნდა იყოს ხაზი (იქვე) 7, გამოშვებულია დასაწყისში ტრიქონისა ასი „ა", (იქვე) 8, ნაცვლად ნაჭერისა, დაბეჭდილია „ნარევი" (2 კაბ., 9 ტრ.. 4 სვ.) 9, უნდა იყოს „ხევსურთ" (4 სვ., 2 გვ., 16 სტრ.), 10 ნაცვლად „ლეკვეხის" უნდა იყოს „ლეკვერთხი" (4 სვ., სხოლ, ?5 კაბ. 2) 11 ნაცვლად „ხიშტავიანი", უნდა იყოს „ხიშტაკიანი" (3 კ., 11 სვ., 12 სტო.), 12 ნაცვლად „შემოსელი" უნდა იყოს „შემოსილება" (იქვე), 13, სხოლიოები სულ გადარეულ-გადმორეულია: სხოლიო, რომელიც ეკუთვნის სიტყვას, მოქცეულია სხვა სვეტში. 14, ჩემი გვარი ძველად, მეფეების დროს, გახლდათ პირველ „მესხიშვილი, მესხი" შემდეგ მიმატებულ, ნაბოძებ იქმნა „ალექსიძე", და ამ გვარად შესდგა ალექსიძე-მესხი, ანუ მესხიშვილი. ხოლოდ გეროლდიაში შეცვლილ, გადარუსულებულ იქმნა „ალექსიევ-მესხიევად". თუ რა ფასად დაგვიჯდა ესე „წყალობა"—გვარის მიმატება,—დარჩეს შემდეგისთვის. ღირსი კია ამისი ახსნა: ახასიათებს ქართველის და სომხის ხასიათს.

ნ. ალექსიევ-მესხიევი.

### გასტროლი პ. ნ. ორლიონევისა.

—

ხუთშაბათს, 31 მარტს, და პარასკევს, 1 აპრილს, ქართულ თეატრში გაჰმართა ორი წარმოდგენა ცნობილმა არტისტმა ორლიონომა ნიჭიერის მსახიობ-ქალის, მორევის, მონაწილეობით. ორთავეჯერ წარმოდგენილ იქმნა ერთი და იგივე პიესა ჰ. იბსენისა «მოჩვენებანი». ეს საყურადღებო პიესა, რომელსაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როცა იგი ჩვენს სცენაზედაც იქმნება წარმოდგენილი—გადმოთარგმნილი უკვე არის—ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზედ, თვალწინ უყენებს რა ულმობელს ძალას მემკვიდრეობისას, რომლის ბრჭყალებსაც ვერსად გაექცევა ადამიანი. სიხარული იმას, ვისაც მემკვიდრეობით სასიცოცხლო ძალა გადაეცემა, ძალა, რომელიც მისთვის ბედნიერების წყაროდ გადაიქცევა და ვაი იმას, ვინც დაბადებამდე, დედის მუცელშივე, მემკვიდრეობით გადმონაცემს ბიწიერებას, «მატლებით გამოხრილის» მსგავსად, დაუზიანებია და გადაგვარების გზაზედ დაუყენებია. ვერავითარი ცდა, ნიჭი, მომზადება, მას ვერ დაიხსნის ულმობელის მტრისაგან, რომელიც მოჩვენებასავით დასტრიალებს თავისს მსხვერპლს და ბოლოს უღებს.

პიესის მძიმე შთაბეჭდილება ერთისამად მძიმე და აუტანელი ჰხდება ისეთ ნიჭიერ მსახიობის ხელში, როგორიც ორლიონოვია.

უკანასკნელი კი არ თამაშობს, კი არ არდგენს, არამედ სცხოვრობს სცენაზედ და ყოველს სასცენო ეფექტებს დაშორებულს მისს თამაშობას სრულ ილიუზიამდის მიჰყავს მაყურებელი, რომელსაც სულ დავიწყებული აქვს, თუ ისთეატრშია.—მიმიკა, დიქცია, გრიმი, ტემპერამენტი ყველა ეს ღონისძიებას აძლევს მსახიობს, დაიპყროს მაყურებლის ყურადღება და გამსჭვალოს იმ გრძნობით, რომლითაც თვითონ არის გამსჭვალული.

მხარს უჭერდნენ მსახიობს დანარჩენნი მოთამაშენიც: გორევა (ელენა), ნაზიგოვა (რეგინა), ომარსკი (ენსტრანდ). სუსტი იყო ვრონსკი (პასტორი), თავისის ერთფეროვან თამაშობითა და სიარულით.

ქ. ყი—ნი.

## რუსეთი

—

ხარბინს დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში, რადგან ეს ქალაქი ახლოა იმ ადგილებიდან, საცა ლაშქრობს დღეს რუსეთის ჯარი და მხედრობა. აქ არის დღეს მანჯურიის ყველა საერო და სამხედრო დაწესებულება მოთავსებული. ხარბინზედ უნდ გაიარონ ყველა ჯარებმა ბრძოლის ველზედ წასასვლელად. იქ გადის ყოველივე ნუზლი და სურსათი, საომარი იარაღი და საჭირო სამხედრო მასალა. აქვე იყრის თავს ყველა, ვისაც მინდობილი აქვს სამკურნალო შემწეობის აღმოჩენა დაჭრილთა და ავადმყოფ მხედართათვის.

ამ ჟამად მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ითქვას ამ ქალაქის სანიტარულს მდგომარეობაზედ. შარშან აქ მშვიდობიანობა იყო, ალაგ-ალაგ ხოლერამ იჩინა თავი, ხოლო საოფლე თითქმის არ მოსპობილა სრულიად, მხოლოდ ნოემბრის ყინვებმა შეაჩერა შარშან მისი გაძლიერება.

მოარულების გაჩენას და გავრცელებას ხელს უწყობს ხარბინში უვარგისი წყალი. მდინარე სუნგარი უსუფთაობით არის სავსე და მისი წყალი არ ვარგა სასმელად. უმრავლესობა სვამს ჭების წყალს, მაგრამ ჭები ღრმად არ ითხრება და ახლოა უცემენტო ჯირგინებსა და უწმიდურობის ორმოებზედ, ხშირად ამისთანა ჭების წყალს სუნი უდის, თუ მეტადრე პატარა ხანს თბილ ადგილას დასდგით თავ-დაცობილს ჰურჭელში.

მეორე მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს მოარულების გაჩენას, საზოგადო უსუფთაობაა ქალაქისა. ნაგავი და უწმიდურება არ გააქვთ ქალაქ-გარედ და არ სწვავენ, არამედ ჰყრიან შიგ ქალაქშივე რამდენსამე ადგილას, მაგალითად, გომარეთლის სასტუმროს უკან, მეიდანზედ, ახლად გაყვანილს ქუჩაზედ და სხვ. რაკი არც კანალიზაცია და არც უწმიდურების ორმოებია მოწყობილი, ნაგავს, ჭუჭყებს პირდაპირ ქუჩაში ჰყრიან. ზოგიერთი უბანი ხარბინისა პირდაპირ უწმიდურესობის ბუდეა. ბევრგან ორმოები პირამდე სავსეა უსუფთაობით, გადმოდის გარშემო და ედება ქუჩებს.

საჭიროა მალე იქმნას მიღებული ყოველივე ღონისძიება ქალაქის გასასუფთავებლად, თორემ ჰაერის გათბობისათანავე, შესაძლოა, საშინელი მოარულები გაჩნდეს და მრავლად იმსხვერპლოს ხალხი. (გაზ. «ნოვ.»)

## დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი.

**პეტერბურგი**. 1 აპრილს წმ. სპირიდონის ტაძარში, უმთავრეს ადმირალტეისტვოში, მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი 31 მარტს პორტ-არტურთან აფეთქებულ ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკ»-ზე დაღუპულთ დიდ ოკეანეს რუსის ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალის მაკაროვის, ოფიცრებისა და მდაბიო ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად.—გენერალ მაიორი შევალიე დე-ლა-სერრი დაინიშნა მანჯურიის ჯარის საგზაო მართველობის უფროსად.

**ლონდონი**. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი $3^1/_2$ პროცენტამდე.

**პორტ-არტური**. საპიორნი: შტაბს კაპიტანი ანტროშენკო, პორუჩიკი იონოვი, პოდპორუჩიკი ბარანოვი, კოტელმი და ტრუხინი, ადმირალი ლოშჩინსკი, საკანონერო ნავის «სივუჩი»-ს უფროსი და ოფიცერნი ინკოუდან ულოცავენ ნათესავთა ნაცნობთა და ამხანაგებს ქრისტეს აღდგომას.

**სევასტოპოლი**. 1 აპრილს დანიშნულია პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ ვიცე-ადმირალ მაკაროვის სულის მოსახსენებლად.

**კრონშტადტი**. სამოქალაქო და სამხედრო ეკკლესიებში, რეალურ და სხვა სას-

---

ტანთ-საცმელია ჩვენი ტანთ-საცმელი: ბრძოლის დროს შეკრული მაჯა აუცილებლივ საჭიროა: რათა ძარღვი არ აეყაროს და უფრო ღონივრად გაიტყორცნოს ჯირითი, კარგი მოჯირითე მაჯას მაგრა შეიკრავს,—მაჯა შეკრული მახვილს უფრო ღონივრად შემოჰკრამ,—ეგრეთვე როდესაც წვივები მაგრად შეკრულია, ფიქრი არა აქვს—რაოდენა მანძილიც გაიაროს მთა-ბარში—ძარღვების აყრისა (расширеніе жилъ). ევროპიელებმა მხოლოდ ეხლა ხანს შემოიღეს ელასტიკური (რეზინის) პაჭიჭები—ასაცილებლად ანუ განსაკურნავად ზემოხსენებულ სენისა... უბედურება ჩვენი ის არის, რომ ჩვენი, რაც უნდა კარგი და სასარგებლო იყოს, არა მოგვწონს რა,—უთუოდ უცხოელთ უნდა წავბაძოთ, შევითვისოთ მათი, თუნდა რომ ჰავნებელი და სამასხაროც იყოს!.. მახლას!. ახალუხზედ, თუ ჩოხაზედ ყოშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ჰფარავდა მაჯას—მეტადრე მაშინ, როდესაც ყოში—ჯაჭვ-პადიისა იყო, ხელთათმანობას უწევ და სიცხე-სიცივეში. ზოგის აზრით, ყოშს შურდულად ხმარობდნენო. შესაძლებელია. ჩემის აზრით-კი, ნამდვილი შურდული—უფრო ფუფხაკი უნდა ყოფილიყო, ისეა მოწყობილი...

ერთი ორი სიტყვა ჩვენ ქართულ ხრმლის ქარქაშიდან ამოღება-ჩაგებაზედ.

ჩვენნი წინაპარნი გათქმულნი იყვნენ ხრმლის ხმარებაში. ნეტარ სახსენებელი პატარა კახი გაჭირვების დროს ტყუილად კი არ დაჰყვირებდა ხოლმე: „ხრმალი, ბიჭებო, მაგ წუნკალებს!" არ მოგვეტევება ჩვენ – მათ შთამომავალთ—თოფ-იარაღის ხმარების დავიწყება!.. ხრმალი ასე უნდა ამოღებულ იქმნას: მოიკიდოს მარჯვენა ხელის ოთხი თითი ტარზედ, სალოკი თითი გამოიდოს ვადას და ისე ამოიღოს და შემოიქნიოს: ამგვარად დაჭერილი ხრმალი შემოიქნევის, შემოკვრის დროს ხელში ისევ ადვილად ველარ გადაბრუნდება, უფრო ყუათიანად შემოიკვრის. მარცხენა ხელით კი, რასაკვირველია, ქარქაშის თავი დაჭერილი უნდა იყოს,—მხოლოდ ჩაგების დროს ქარქაშში მარცხენა ხელის ოთხი თითით მოიკიდოს ქარქაშის თავი, გაედოს ხრმლის ყუას მარცხენა ცერი და ისე ჩაგოს: ამგვარად ჩაგების დროს, ქარქაშის პირს ველარ ასცდება ხრმლის წვერი, როდესაც რომ უიმისოდ იშვიათად თუ მარდად, სწრაფლ მოხერხდეს მისი ჩაგება ქარქაშში. ქართველი ხანჯალს შემოჰკრავს, დაჰკრავს, შესცემს, და არა დასცემს ისე, როგორც ჩვეულება აქვთ ევროპიელთ: ფრანგებს, ესპანიელებს, იტალიელებს და სხ. და რომელთაც ჰბაძვენ ჩვენნი მსახიობნი. ჩერქეზულის ხრმლის კი შემოქნევის დროს, რათა ხელში არ გადაუბრუნდეს და ღონივრად შემოიკრას, ოთხი თითი მარჯვენა ხელისა მოეკიდოს ხრმლის ტარს და ცერი დაბჯენილ იყოს მის ყუაზედ.

(შემდეგი იქნება)

წავლებლებში იხდიან პანაშვიდს ქალაქის საპატიო მოქალაქის ვიცე-ადმირალის მაკაროვის, ყველა ოფიცრებისა და მდაბიო ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად, დაღუპულთა ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკზე».

**ხარკოვი.** ჩემულპოს გმირთა მოსვლას აქ მოელოდებიან 11 აპრილს. ქალაქი ემზადება დიდებულად მიეგებოს. მდაბიო ჯარის კაცთა პატივის ცემა იქმნება პუშკინის საქალაქო სკოლის სადგომში. ოფიცრებს სადილს გაუმართავენ.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). თითქმის ყველა გაზეთები ბეჭდავენ ადმირალ მაკაროვის ნეკროლოგსა და დიდად აფასებენ იმის ღვაწლს სახელმწიფოს წინაშე და დიდის თანაგრძნობით იხსენიებენ იმის ტრაგიკულს სიკვდილსა. გაზეთები ამბობენ, მხოლოდ იმისთანა საზღვაო სასახელმწიფოს, როგორიც არის ინგლისი, რომელმაც ბევრი ამისთანა მწუხარება გამოსცადა, შეუძლიან შეიგნოს მწუხარება, რომელიც დაატყდა რუსეთს ამ დაკარგვითა. მაკაროვის დაღუპვას ყველგან ჰგლოვობს, სადაც-კი აფასებენ მამულიშვილურს გრძნობასა და ბრწყინვალე ნიჭსა. —«დეილი ნიუსი» იგონებს ჯავშნიან გემის «ვიქტორიის» დაღუპვას და ადმირალ ტრაინსა, რომელიც თავის გემთან ერთად დაიღუპა.—«სტანდარტი» ამბობს, ბევრი მაგალითები არ არის საზღვაო ისტორიაში, რომელსაც ნათლად შეუძლიან დაგვანახოს, თუ რა შეუძლიან ერთს ნიჭიერს და სულით მძლავრს კაცსა, რომ შეიტანოს საუკეთესო წეს-წყობილება და აღაფრთოვანოს ყველანი თვისის მაგალითითა. ყველა ეროვნების მეზღვაურნი, თვით იაპონელნიც-კი, მოწიწებით მონაწილეობას მიიღებენ ადმირალის გლოვაში. „ტაიმსი“, არ ეჭვნეულობს-რა, რომ რუსეთის ერს არ აკლია სულიერი ძალა, ამბობს, რუსეთმა დაჰკარგა ისეთი სარდალი, რომლის სანაცვლოს მოძებნა აგრე ადვილი არ არისო.

**ბერლინი.** პორტ-არტურში მომხდარმა უბედურობამ დიდი მწუხარება გამოიწვია. გერმანიაში ბევრნი მწუხარებით შეეგებნენ დიდის მთავრის დაჭრასა და ჰგლოვობენ ადმირალ მაკაროვის სიკვდილსა. ამ უბედურებამ უფრო იმიტომ გამოიწვია მხურვალე თანაგრძნობა, რომ მტრისაგან-კი არ მოხდა, არამედ საშინელის შემთხვევისა გამო. აქ იმედი აქვთ, რომ რუსეთის ფლოტს აღარ გაუმეორდება ამნაირი შემთხვევა. ბევრს გაზეთებში დაიბეჭდა მაკაროვის სურათები და დაწვრილებითი ბიოგრაფიები. ნიჭიერისა და ენერგიულის ადმირალის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს. მაღალ ნიჭიერმა და გამბედავმა წინამძღოლმა თავისის ენერგიითა და წინ დახედულობით, მოკლე დროში მოიხვეჭა რა საზოგადო ყურადღება და პატივისცემა, კიდევაც გაამართლა ის იმედები, რომელიც მისგან ჰქონდათო.

**ვენა.** «პეტროპავლოვსკის» უბედურობისა გამო «ფრემდენბლატი» ავსტრია უნგრეთის მწუხარებას აცხადებს და ამბობს, მტკიცედ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს უბედურობა არ შეარყევს რუსეთის ჯარის-კაცი ვაჟკაცობასაო.

**ლონდონი.** („რეიტერის ბააგენტო“). «ტაიმსი» იუწყება, 26 მარტს თიბეთელებმა კიდევ სცადეს წითელის კერპის ხეობაში ინგლისის ექსპედიციის მოძრაობის დაბრკოლება. ინგლისელებმა ჩააჩუმეს მტრის ზარბაზნები, რომლებიც მთის მწვერვალებზე ეწყო და დაიჭირეს გასავალი. მტერს 200 კაცი მოუკლეს, ინგლისელების მხრივ მოკლული არავინ არის, 10 კაცი მსუბუქად დაჭრილია.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). პენზაკოლში, სამხედრო გემ «მისურიზე» სროლის დროს, გასქდა ზარბაზანი, დაიღუპა 26 კაცი, იმათში რამდენიმე ოფიცერიც არის.

**პორტსმუტი** («რეიტ. სააგ»). ნაღმიან გემების მანევრების დროს, ნავსადგურ პორტსმუტში ერთი ნაღმოსანი გაირიყა და ჩარჩა ზღვაში. სიკვდილით არავის დაშავებია რა, მაგრამ შესაძლებელია, რომ გემი სამუდამოდ დაიღუპა.

**პეტერბურგი.** ნევა ყინულისაგან განთავისუფლდა.

**სევასტოპოლი.** ადმირალ მაკაროვის უდროვოდ დაღუპვის გამო «ვარიაგის» და «კორეეცის» გმირების პატივის საცემლად გამართული სადილი, ამ უკანასკნელთა თხოვნით, აღარ იქმნება. მაკაროვის მეუღლეს სევასტოპოლიდან სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნეს.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა მიჰმართა პალატა და სთხოვა, ნება დართოს რომ ინდოეთის ჯარებმა ინდოეთის საზღვარს გარეშე იმოქმედონ, რადგან თიბეთში საქმეთა მდგომარეობა გართულდაო. ამასთანავე ბროდრიკმა განაცხადა, 18 მარტის ბრძოლა შედეგი იყო იმისა, რომ ექსპედიციამ შეასრულა ნაკისრი მოვალეობაო. ბროდრიკმა წაიკითხა პოლკოვნიკ იონხეზბანდტის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ გენერალი მაკდონალდი 29 მარტს ვიანგცზეს მივიდაო. თიბეთლები გულგატეხილნი არიან. ჩინეთის რწმუნებული მამივიდა ინგლისელებთან, დაამოწმა სინამდვილე დეპეშებით მიღებულ ცნობათა ექსპედიციის მოქმედების შესახებ, ამართლებდა ინგლისის მთავრობას ექსპედიციის გაგზავნის გამო და განსაკუთრებულის ყურადღებით აღნიშნა მომთმინეობა ინდოეთის მთავრობისა თიბეთისადმი, რადგან თიბეთი სცდილობდა შეთანხმების პირობა დაედო რომელსამე შორეულ დიდ სახელმწიფოსთან. იმ დროს, როდესაც თიბეთის მთავრობა სცდილობდა ინდოეთის ტერრიტორიაში შესევას, პეტერბურგს გაამგზავრა რელიგიური მისსია დალაი ლამამ. ცოტა გვიან რუსეთის მთავრობამ წარმოუდგინა ინგლისს დამამშვიდებელი საბუთები და დაარწმუნა, —თიბეთის საქმეში არ ვერევიო, მაგრამ ინგლისის მთავრობამ მაინც განაცხადა, არ შემიძლიან გულ-გრილად ვუცქირო რომელსამე სახელმწიფოს ცდას თიბეთში უფლება-უპირატესობის მოპოვების შესახებ და ლხასაში მისსიის გაგზავნას იმ აზრით, რომ გავლენა მოიპოვოს თიბეთის მთავრობასთან, და ან, დასასრულ, ცდას ლახასსზედ პროტექტორატის დაწესების შესახებაო. ყოველი ამისთანა ღონისძიება უფრო გაამწვავებს საქმეს, ვიდრე წინად იყოო. ინგლისი მაინც მოწადინებული არ არის, რომ თიბეთი შემოუერთოს თავისს სამფლობელოებსო. ბროდრიკის წინადადება მიღებულ იქმნა დიდის უმეტესობით, 270 ხმით, წინააღმდეგ 61.

**ოდესა.** 1-ლ აპრილს საკათედრო ტაძარში ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ეპისკოპოსმა ნოვომირგოროდისამ, სამხედრო ოლქის ჯარის უფროსისა, ქალაქპეტისა, ქალაქის მოურავისა, გენერალიტეტისა, უცხოეთის კონსულებისა, სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებისა და აუარებელ მლოცველთა თანადასწრებით, გადაიხადა პანაშვიდი 31 მარტს უდროოდ დაღუპულის ვიცე-ადმირალის მაკაროვისა და ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკის» დაღუპულ ოფიცერთა და მეზღვაურთა სულის მოსახსენებლად.

**სევასტოპოლი.** აუარებელის ხალხის თანადასწრებით, ვლადიმირის ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ვიცე-ადმირალ მაკაროვისა და დახოცილ მეზღვაურთა სულის მოსახსენებლად. ხალხში საერთო მჭმუნვარებაა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ცნობა ადმირალ ტოგოს მეშვიდეჯერ პორტ-არტურზედ თავ-დასხმისა და ჯავშნიან გემის «პეტრო-პავლოვსკის» დაღუპვის შესახებ აქ მიღებულ იქმნა კერძოთ დეპეშით დილის 8 საათზედ. ამ დეპეშაში გამოთქმული იყო მწუხარება დიდოკეანეს ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალის მაკაროვის დაღუპვის გამო. ადმირალ მაკაროვს მტერი —იაპონელნი—დიდს პატივსა სცემდა, როგორც ნიჭიერსა და ფლოტის მხნე სარდალს. იაპონელნი გაკვირვებულნი იყვნენ მისის მოქმედებით და აგრეთვე იმით, რომ მან აღადგინა რუსეთის ფლოტის რეპუტაცია და შეუდარებლად ებრძოდა მცირე ფლოტით ძლიერს ფლოტს.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). „ტაიმსმა» საკუთარის სამხედრო კორესპოდენტისაგან, რომელიც ყოფილა გემზე პორტ არტურთან, შემდეგი დეპეშა მიიღო: «დილით ხუთი საათის ნახევარს მედავინახე იაპონიის ესკადრა, რომელიც პორტ-არტურისაკენ მოდიოდა; სხვა გემებში ერია „ნისსინი» და «კასუგალი», რომელნიც პირველად გამოვიდნენ ბრძოლაში. როცა ჩვენ პორტ-არტურს დავუახლოვდით, იქ ვნახეთ იაპონიის ექვსი კრეისერი, რომლებიც იცავდნენ დილით ადრე პორტ-არტურზე მიტანილს ნაღმიან იეროშსა. დილის ათს საათზე სანაპირო ბატარეებმა სროლა ასტეხეს. ტოგოს საომარმა გემებმა სამჯერ შემოუარეს რუსის გემების სადგომს იმ დროს, როდესაც რუსები განუწყვეტლივ იბრძოდნენ. შუადღის დროს ტოგო განშორდა, იმან უფრო დემონსტრაცია მოახდინა და საგრძნობელი ზიანი არ მოუტანია. დღეს პორტ-არტურის წინ 40 გემია იაპონელთა, ნაღმიანი გემებიც რომ ვიანგარიშოთ.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). ადმირალი რიუ იუწყება, ადმირალ ტოგოს ესკადრამ ერთი რუსეთის ნაღმიანი გემი დაღუპაო. იაპონელთაგან არავინ დაშავებულა გარდა ერთის დაჭრილისა.

**ვერსალი.** აქაურმა მთავარ-საბჭომ დაადგინა: «მთავარ-საბჭო, რუსეთის ფლოტის მგლოვიარებით შეწუხებული, გულითადს თანაგრძნობას უცხადებს მოკავშირე და დამეგრობებულ ერის მეფეს».

**ბერლინი.** (საგანგებო). «ნორდდეიჩე ალგემეინე ცაიტუნგი» ამბობს, რუსეთის ფლოტის უბედურების გამო დიდი თანაგრძნობა აღიძრა გერმანიაშიო.

**ბერლინი.** (საგანგებო). სეულიდგან იტყობინებიან, რომ იაპონიის მთავარსარდალმა დაავალა კორეის მთავრობას, სანიტარულად გააუმჯობესოს სეული და უმთავრესი ქალაქები, რადგან შესაძლოა ზაფხულში მოარული გაჩნდესო.

**ბერლინი.** (საგანგებო). ვენიდგან იტყობინებიან, იაპონიისა და ჩინეთის ელჩებს უთქვამთ, რომ ის ხმები, ვითომც იაპონიამ და ჩინეთმა კავშირი შეჰკრეს რუსეთის წინააღმდეგო, სრულიად უსაფუძვლოაო. ჩინეთის დიპლომატმა დაუმატა, შესაძლოა ზავი უფრო ადრე ჩამოვარდეს, ვიდრე ზოგსა ჰგონიაო.

**სირაკუზი.** იმპერატორი ვილჰელმი ვანდერბილდს ესტუმრა იახტაზე და შემდეგ მოგზაურობა განაგრძო.

2 აპრილი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება იმპერატორო სასახლის მინისტრის მიმართ: «რადგანაც შორეულს აღმოსავლეთში გამწვავდა საქმე, ამიტომ ჩვენ ვბრძანეთ, ხანდაუზმელად გამოიძებნოს საშუალება, რათა დაუყოვნებლივ შემოკლებულ იქმნას ხარჯები ყველა სამოქალაქო უწყებათა და მივანდობთ განსაკუთრებულს ბჭობას, რომლის თავმჯდომარედაც ვნიშნავთ სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო საეკონომიო დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავუბრძანებთ, უკედ მოისაზრონ ამ საგნის თაობაზედ. ამასთანავე, რადგან სამინისტროს ხაზინიდგან ეძლევა ხარჯი, რომელიც სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვითაა გადადებული, ჩვენ საკეთილოდ ვსცანით, რომ გადასინჯულ იქმნას საიმპერატორო სასახლის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა იმ წესის თანახმად, რომელიც ჩვენ ცალკე გაუწყეთ, იმ აზრით, რომ გადაწყვეტილ იქმნას, თუ რომელის ხარჯის გამოკლება ან დროებით გადადებაა შესაძლებელი ხსენებულ სამინისტროსთვის გადაწყვეტილ თანხიდგან საჭირო ხარჯების შესამოკლებლად. ეხლა, ვამტკიცებთ-რა თქვენგან წარმოდგენილს მოსაზრებას საიმპერატორო სასახლის სამინისტროში ხარჯების შემოკლების შესახებ, გიბრძანებთ: მთელს თანხას, რომელიც ხსენებულ სამინისტროსთვის 1904 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვით იყო გადადებული და რომელიც ეხლა ხარჯთ-აღრიცხვას გამოაკლდა, სახელდობრ, 975,137 მანეთს, მიემატოს კიდევ განსაკუთრებულის წყაროებიდგან 24,863 მან., სულ ერთი მილიონი მან.; ეს ფული დარჩეს ისევ ხაზინაში, თავისუფალ თანხად იყოს, ჩ მოთხოვნილებისამებრ მოხმარდეს ომის საჭიროებას». ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «**ნიკოლოზი**». ს-პეტერბურგი, 1-ლი აპრილი 1904 წ.

მისმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, შემდეგი დეპეშა მიიღო დიდის მთავრის ბორის ვლადიმერის ძისაგან: „ლიაოიანი, 1-ლ აპრილს. როგორც კირილემ მიამბო, ის აფეთქების დროს გაეშურა პატარა ხიდის მარცხენა მხარეს და ჩაეშვა გემის ბაქანზედ, მაგრამ ზღვის ტალღამ გადაიტაცა. შემდეგ ტალღამ საკმაო სიღრმემდე ჩაძირა, მაგრამ თავისის მეცადინეობით მაღლა ამოტივტივდა, მოჰკიდა ხელი მცურავ ორთქლმავალ ნავის სახურავს და ათ წუთს ამ ნავზედ იცდიდა. მერე გადაიყვანეს ნაღმიან გემ «ბეზშუმნი»-ზედ. კუბე და კირილეს მოსამსახურე რუდეკოვი დაიღუპნენ».

**პეტერბურგი.** რუანისა და რენის მთავარ საბჭოებმა გადასწყვიტეს, სამძიმარი გამოუცხადონ რუსეთს «პეტროპავლოვსკის» დაღუპვისათვის.

**პარიჟი.** პელტანმა ზღვათა სამინისტროს გამგეს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: «საფრანგეთის ფლოტი, ღრმად შეძრწუნებული საშინელის უბედურობით, რომელიც ეს ეს არის ეხლა გავიგეთ, გულითა და სულით უთვლის სამძიმარს რუსეთის ფლოტს, რომელმაც ამდენი მამაცი კაცი დაჰკარგა და დაეღუპა დიდებული ადმირალი. სახელი მისი საუკუნოდ დარჩება რუსეთის ფლოტისა და სამხედრო საზღვაო მეცნიერების ისტორიაში. ვულოცავთ სიკვდილს გადარჩენას დიდს მთავარს კირილე ვლადიმირის-ძეს».

**პორტ-არტური,** 1 აპრილს. (საკუთ. კორესპ.). 30 მარტს ღამე რაზმი ჩვენის ნაღმოსნებისა მოვიდა ზღვაზედ და შეჰხვდა მტრის ნაღმოსნებს. ასტყდა ბრძოლა, რომელმაც დილის 7 საათამდე გასტანა. ნაღმოსანს «ბეზსტრაშნის» შემოერტყა მტრის სამი ნაღმოსანი და დაჰლეპა. ცოტა წინად ჩვენის ნაღმოსანის საშველად გაექანა კრეისერი «ბაიანი»; მტრის ნაღმოსნები განზედ გადგნენ. ამ დროს გამოჩნდა იქ იაპონიის ესკადრა. მერვე საათზედ ჩვენმა ესკადრამ დაიწყო გასვლა რეიდზედ და გაემართა მტრის ესკადრისკენ, რომელმაც უკან დაიწია, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მტერს 16 დიდის გემისთვის ერთად მოეყარა თავი. ჩვენი ესკადრა უკან წამოვიდა რეიდისაკენ და დაერაზმა ბრძოლის წესისამებრ მტრის დასახვედრად; ამ დროს ჯავშნიან გემის «პეტროპავლოვსკის» ქვეშ იფეთა ნაღმმა და ორის წუთის შემდეგ გემი ჩაიძირა, დაიმალა წყალ-ქვეშ. გადარჩა დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის-ძე, უფროსი გემთა კაპიტანი იაკოვლევი, ლეიტენანტი უნკოვსკი, მიჩმანები იაკოვლევი, შლიპპე და იენიში, აგრეთვე 50-მდე მდაბიო მეზღვაური. ჯავშნიან გემსაც «პობედას» შუა-გულ ადგილას შეენგრა გვერდი და მაშინვე შიდა რეიდში შევიდა. მტერი ორ რაზმად გაიყო და ცის დასავალს მოეფარა. იმ დღეს გამუდმებული ცივი ქარი ჰქროდა, ხოლო საღამოს ძლიერ ქარ-ტეხილად გარდაიქცა და საშინლად აღელვა ზღვა.

**პორტ-არტური.** 1 აპრილს (საკუთ. კორრესპ.), 31 მარტს, დილის 6 საათზედ მოუხდათ ომი შვიდ ნაღმოსანსა და კრეისერს «ბაიანს» იაპონიის გემებთან. ამ ომში დაიღუპა ნაღმოსანი «ბეზსტრაშნი». დილის 7 საათზედ 5 ნაღმოსანი კრეისერ «ბაიანი»-თურთ დაბრუნდნენ უკან, ხოლო ჯავშნიანი გემები «პეტროპავლოვსკი«, «პოლტავა», «პობედა», «პერესვეტი» და «გაიდამაკი» ზღვაზედ გავიდნენ. დილის 9-ნახევარ საათზედ მოჰხდა აფეთქება ჯავშნიანის გემის «პეტროპავლოვსკისა», რომელიც ორის წუთის შემდეგ ჩაიძირა. ნაშუადღევის 3 საათამდე სჩანდა ზღვაზედ იაპონიის ესკადრა.

**სევასტოპოლი.** დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსად დანიშნული ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი პეტერბურგს მიდის.

**ბერლინი.** «ბერლინერ ტაგებლატის« კორესპონდენტი დეპეშით იწერება ტოკიოდან, 30 მარტის თარიღით, რომ იაპონიის მეორე ლაშქრის გადასხმა პირველად ვიცზიკოხ უნდოდათ, ელიოტის კუნძულების პირდაპირ, იქვე, სადაც 1894 წელს გადასხეს, მაგრამ მაკაროვის რამდენიმე მამაცურად გამოსვლამ პორტ-არტურის ნავთსადგურიდან, გადააწყვეტინა იაპონელებს, რომ გადაესხათ ეს ჯარი კორეის ნაპირად, იალუს შესართავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ასე 12 დღის სავალზედ. ანჩჟუსა და იჯუს შუა ჯარების გადასხმა გაცხარებითა სწარმოებს. ადმირალი ტოგო ფლოტის უმთავრესის გემებით ჩეილის სრუტეში ტრიალებს, რომ ჯარების გადასხმას ხელი არ შეეშალოს.

**ლონდონი.** («რეიტ. სააგენტო»). «დეილი ქრონიკლის» ცნობით, რომელიც ტოკიოდან მიუღია, ვიკონტი აოკი გერმანიაში მიდის განსაკუთრებულის მინდობილობით.

**პეტერბურგის ბირჟა**

30 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,95 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½ |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93½ ნ. გაყ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 384 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 310 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 279 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურ ას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

**ჭრელი საჭირო ოქრო და ბრილიანტი**

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

**იაფი გარნიტური**

**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს, რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოუგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 32/323*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით) და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 2 апрѣля 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.